GAA GEORGIAN ASSOCIATION OF ARBITRATORS

საქართველოს არბიტრთა ასოციაცია

არბიტრთა ეთიკის კოდექსი

დებულება

არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს არბიტრთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union (EU) and the United Nations Development Programme (UNDP). Its contents are the sole responsibility of Georgian Association of Arbitrators and do not necessarily reflect the views of the European Union and the United Nations Development Programme.

სარჩევი

არბიტრთა ეთიკის კოდექსი

შესავალი 5

პრინციპი I. 6
არბიტრმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა.

პრინციპი II. 8
არბიტრი მოვალეა განაცხადოს თავისი ინტერესების ან იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე ან გამოიწვიოს მიკერძოებულობის შთაბეჭდილება

პრინციპი III. 10
არბიტრი უნდა მოერიდოს მხარეებთან არასათანადო კომუნიკაციას.

პრინციპი IV. 12
არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა წარმართოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად

პრინციპი V. 13
არბიტრმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად და გააზრებულად

პრინციპი VI. 13
არბიტრი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში

პრინციპი VII. 14
არბიტრმა ჰონორარი და არბიტრაჟთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განსაზღვროს გონივრულად და კეთილსინდისიერად

პრინციპი VIII. 15
არბიტრს შეუძლია ჩაერთოს საარბიტრაჟო მომსახურების კეთილსინდისიერ პოპულარიზაციისა და რეკლამირებაში

დებულება არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ

თავი 1.

ზოგადი დებულებები 19

თავი 2.

საქმის მოკვლევა 21

თავი 3.

დისციპლინური განხილვა 24

თავი 4.

დისციპლინური სანქციები 32

თავი 5.

გასაჩივრებისა და აღსრულების წესი 32

თავი 6.

დასკვნითი დებულებები 33

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი

შესავალი

საარბიტრაჟო პროცესის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისა და არბიტრაჟისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, წინამდებარე ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის წესების აღიარებულ სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა საარბიტრაჟო პროცესის დროს. ისინი პასუხისმგებელნი არიან როგორც მოდავე მხარეების, ასევე პროცესის სხვა მონაწილეთა, საზოგადოების და თავად პროცესის არსის მიმართ. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებებს.

ეთიკის კოდექსი გამოიყენება ყველა ისეთი საარბიტრაჟო განხილვის დროს, როდესაც დავა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრ ერთ ან მეტ არბიტრს. ეს კოდექსი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მის გამოყენებას ითვალისწინებს მხარეთა შეთანხმება, შესაბამისი საარბიტრაჟო წესები ან კანონი. ყველა ასეთ შემთხვევაში, არბიტრები უნდა დაექვემდებარონ ამ კოდექსით დადგენილ ქცევის წესებს.

წინამდებარე ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ეთიკის ნორმებს არბიტრებისთვის და ადგენს არბიტრთა ვალდებულებას - უზრუნველყონ საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა, შეინარჩუნონ ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, გაამჟღავნონ ნებისმიერი ინტერესი ან ურთიერთობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიუკერძოებლობაზე. ეთიკის კოდექსი ასევე განსაზღვრავს მხარეებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროცესის მონაწილე სხვა პირებთან შესაფერისი კომუნიკაციის წესებს და მოუწოდებს არბიტრებს თავიდან აიცილონ გაუმართლებელი ხარჯები.

პრინციპი I. არბიტრმა უნდა უზრუნველყოს საარბიტრაჟო პროცესის კეთილსინდისიერად და სამართლიანად წარმართვა.

1. არბიტრი ვალდებულია დაიცვას ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა უზრუნველყოს პროცესის სამართლიანი და კეთილსინდისიერი წარმართვა.

2. პირი უნდა დათანხმდეს არბიტრად დანიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ:

   ა) მას შეუძლია იმოქმედოს მიუკერძოებლად;

   ბ) მას შეუძლია იმოქმედოს მხარეებისგან, პოტენციური მოწმეებისგან და სხვა არბიტრებისგან დამოუკიდებლად;

   გ) გააჩნია სათანადო კომპეტენცია;

   დ) აქვს საკმარისი დრო დაიწყოს საარბიტრაჟო განხილვა პროცესის მოთხოვნების შესაბამისად და განხილვის დაწყების შემდეგ დაუთმოს სათანადო დრო და ყურადღება პროცესს;

3. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცხადების შემდეგ და საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, მან თავი უნდა აარიდოს ისეთ საქმიან, პროფესიულ ან პირად ურთიერთობებში შესვლას, ან ისეთი ფინანსური თუ პირადი ინტერესის შეძენას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს არბიტრის მიუკერძოებლობაზე ან შექმნას მიუკერძოებლობის გონივრული ეჭვი. არბიტრმა, საქმის გადაწყვეტიდან გონივრულ ვადაში, თავიდან უნდა აიცილოს ისეთ ურთიერთობაში შესვლა ან ისეთი ინტერესის გაჩენა, რომელიც შექმნის გონივრულ ეჭვს იმისა, რომ არბიტრზე გავლენა ჰქონდა ასეთი ურთიერთობისა ან ინტერესის მოლოდინს.

4. არბიტრი სამართლიანი უნდა იყოს მხარეების მიმართ და არ უნდა მოექცეს პიროვნული დაინ-

ტერესების, გარეშე ზემოქმედების ან სხვა სახის გავლენის ქვეშ.

5. თუ არბიტრის უფლებამოსილება მხარეთა შეთანხმებითაა განსაზღვრული, არბიტრი ვალდებულია ამ უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედოს. თუ მხარეთა შეთანხმება გარკვეულ პროცედურულ წესებს ითვალისწინებს, რომლებიც საარბიტრაჟო პროცესის დროს უნდა შესრულდეს, არბიტრი მოვალეა ეს პროცედურული წესები დაიცვას. არბიტრმა, საარბიტრაჟო პროცედურის დროს არ უნდა გამოიყენოს ისეთი შეთანხმება ან პროცედურული წესები, რომლებიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ეთიკის კოდექსს.

6. არბიტრმა, ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა მხარეებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია პროცესის შესახებ, თავიდან აიცილოს პროცესის გაჭიანურება, მხარეთა ან სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, უთანასწორო მოპყრობა და საარბიტრაჟო პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები.

7. არბიტრის ეთიკური ვალდებულება იწყება მისი არბიტრად დანიშვნისთანავე და გრძელდება საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე. ამასთანავე, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, ზოგიერთი ეთიკური ვალდებულება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირს არბიტრის მოვალეობის შესრულება ეთხოვა, ხოლო ზოგიერთი ეთიკური მოვალეობა გრძელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეებისთვის გაცნობის შემდეგაც.

8. მას შემდეგ, რაც არბიტრი დაინიშნება, მან არ უნდა თქვას უარი არბიტრობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ გაუთვალიწინებელი გარემოებების გამო იგი იძულებულია ასე მოიქცეს, რადგან სხვანაირად პროცესის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა. თუ მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ან უარს იტყვიან არბიტრისთვის შეთანხმებული ანაზღაურების გადახდაზე, არბიტრს უფლება აქვს გადადგეს.

9. არბიტრი, რომელიც საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე ნებისმიერი საფუძვლით უარს იტყვის საარბიტრაჟო დავის განხილვაზე, უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა დაიცვას მხარეთა ინტერესები, მათ შორის არბიტრმა უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებების დაბრუნება და კონფიდენციალობის შენარჩუნება.

პრინციპი II. არბიტრი მოვალეა განაცხადოს თავისი ინტერესების ან იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე ან გამოიწვიოს მიკერძოებულობის შთაბეჭდილება

1. პირს, რომელსაც ეთხოვა არბიტრის მოვალეობის შესრულება, თანხმობის მიცემამდე ვალდებულია განაცხადოს:

   ა) ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური თუ პირადი ინტერესების შესახებ, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს დავის განხილვის შედეგების მიმართ;

   ბ) მისთვის ცნობილი არსებული თუ წარსული ფინანსური, საქმიანი, პროფესიული ან პირადი ურთიერთობების შესახებ, რამაც შეიძლება მხარეებს შეუქმნას არბიტრის მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის გონივრული ეჭვი. პოტენციურმა არბიტრმა უნდა განაცხადოს იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც მას აქვს რომელიმე მხარესთან, მათ ადვოკატებთან, დანარჩენ არბიტრებთან ან/და შესაძლო მოწმეებთან. პირმა, რომელსაც არბიტრის მოვალეობის შესრულება ეთხოვა, უნდა განაცხადოს ასევე მისი ოჯახის წევრების, ამჟამინდელი დამსაქმებლების ან საქმიანი პარტნიორების ურთიერთობების შესახებ აღნიშნულ პირებთან;

   გ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაციის ფლობის შესახებ;

დ) ნებისმიერი სხვა ურთიერთობის ან ინტერესის შესახებ, რომლის გამჟღავნება მას ევალება მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების ან კანონმდებლობის შესაბამისად.

2. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცხადებამდე პირი ვალდებულია გამოიკვლიოს 1-ელ პუნქტში მითითებული ურთიერთობების და ინტერესების არსებობა.

3. თუ არბიტრისათვის ცნობილი გახდება 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი ინტერესების შესახებ არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის გაცემის შემდეგ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს აღნიშნულის შესახებ.

4. ყოველი ეჭვი იმის შესახებ, არსებობს თუ არა გამჟღავნების ვალდებულება, უნდა გადაწყდეს გამჟღავენების სასარგებლოდ;

5. ინტერესების შესახებ არბიტრმა უნდა აცნობოს საარბიტრაჟო დაწესებულებას (თუკი ასეთი არსებობს) და დავის მონაწილე ყველა მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეთა შეთანხმებით, საარბიტრაჟო წესებით ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობს ერთზე მეტი არბიტრი, თითოეულმა მათგანმა უნდა აცნობოს დანარჩენებს ზემოთ აღნიშნული ურთიერთობების თუ ინტერესების შესახებ.

6. გაცხადებული ინტერესი არ შეიძლება რომელიმე მხარის მიერ გამოყენებულ იქნას არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების შეცილების საფუძვლად, თუ მხარე დაეთანხმა პირის არბიტრად დანიშვნას ან არ დაუყენებია არბიტრის აცილების საკითხი.

7. არბიტრმა უარი უნდა თქვას არბიტრად დანიშვნაზე ან, თუ საარბიტრაჟო წარმოება უკვე დაწყებულია - უარი უნდა თქვას ამ წარმოებაში არბიტრის

ფუნქციის შესრულების გაგრძელებაზე, თუ მას ეჭვი ეპარება თავის უნარში, დარჩეს მიუკერძოებელი ან დამოუკიდებელი.

8. არბიტრი უნდა გადადგეს თუ არბიტრის აცილებას ითხოვს დავის მონაწილე ყველა მხარე. თუ არბიტრის გადაგომას ითხოვს მხოლოდ ერთ-ერთი მხარე არბიტრის მიკერძოებულობის საფუძვლით, არბიტრი უნდა გადადგეს გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

   ა) მხარეთა შეთანხმება, საარბიტრაჟო წესები ან შესაბამისი კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს არბიტრის გადადგომის წესს მსგავს შემთხვევაში;

   ბ) საარბიტრაჟო წესების არარსებობის შემთხვევაში, არბიტრი აცილების მოთხოვნის საფუძვლების შესწავლის შედეგად დაადგენს, რომ აცილების მოთხოვნა უსაფუძვლოა და მას შეუძლია არბიტრის მოვალეობა მიუკერძოებლად შეასრულოს.

9. თუ ამ კოდექსის ნებისმიერ წესთან შესაბამისობისთვის არბიტრს მოეთხოვება კონფიდენციალური და/ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის გამჟღავნება, მან უნდა:

   ა) მოიპოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამცემი პირის ან სამართლებრივად დაცული ინფორმაციის უფლების მფლობელის თანხმობა; ან

   ბ) გადადგეს.

პრინციპი III. არბიტრი უნდა მოერიდოს მხარეებთან არასათანადო კომუნიკაციას.

1. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ან საარბიტრაჟო წესები ადგენს არბიტრის მხარეებთან კომუნიკაციის წესებს, არბიტრი ვალდებულია ამ წესების ფარგლებში იმოქმედოს, თუნდაც ეს წესები წინა-

აღმდეგობაში მოდიოდეს მე-2 და მე-3 პუნქტებთან.

2. არბიტრს შეუძლია საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე იმსჯელოს მხოლოდ ყველა მოდავე მხარის თანდასწრებით, გარდა შემდეგი გარემოებებისა:

ა) როდესაც განიხილება არბიტრის დანიშვნის საკითხი:

- მომავალ არბიტრს შეუძლია იკითხოს მხარეების, მათი წარმომადგენლების და მოწმეების ვინაობა, ასევე საქმის ზოგადი საკითხები;

- შეუძლია უპასუხოს მხარეების ან მათი წარმომადგენლების შეკითხვებს მისი კომპეტენციის და საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ; ასეთ შემთხვევაში, არბიტრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საქმის ზოგადი ხასიათის შესახებ, თუმცა არ უნდა განიხილოს ამ საქმის არსებითი საკითხები დავის რომელიმე მხარის დაუსწრებლად.

ბ) არბიტრს შეუძლია შეუთანხმოს მხარეს ისეთი საორგანიზაციო საკითხები, როგორიცაა საარბიტრაჟო განხილვის დრო, ადგილი და საარბიტრაჟო განხილვის წარმართვის სხვა ორგანიზაციული საკითხები. არბიტრმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მოდავე მხარეს, რომელიც საუბარს არ ესწრებოდა, საუბრის შინაარსის შესახებ და არ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მეორე მხარისათვის მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

გ) თუ სათანადოდ ინფორმირების მიუხედავად მხარე არ ესწრება საარბიტრაჟო განხილვას, ან თუ მხარეები წერილობით შეთანხმეული არიან ამაზე, არბიტრს შეუძლია განიხილოს საქმე გამოცხადებული მხარის დასწრებით.

3. თუ მხარეთა შეთანხმებით, ან შესაბამისი საარბიტრაჟო წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არბიტრის მიერ ერთ-ერთი მხარისთვის წერილობითი მასალის/დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, არბიტრი ვალდებულია ასლი გაუგზავნოს მეორე მხარესაც. თუ არბიტრმა ერთ-ერთი მხარისგან განსახილველი საქმის თაობაზე ისეთი წერილობითი მასალა/დოკუმენტი მიიღო, რომელიც მეორე მხარეს არ გაეგზავნა, არბიტრი ვალდებულია თვითონ გაუგზავნოს ან გააგზავნინოს დანარჩენი მხარეებისთვის.

პრინციპი IV. არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა წარმართოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად

1. არბიტრი ვალდებულია უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში, იგი უნდა იყოს თავშეკავებული და თავაზიანი როგორც მხარეების, ასევე მათი წარმომადგენლების და მოწმეების მიმართ და იგივე ქმედებისკენ მოუწოდოს პროცესის ყველა მონაწილეს;

2. არბიტრმა უნდა მისცეს ყველა მხარეს საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა და შეატყობინოს განხილვის ჩატარების დრო და ადგილი. არბიტრმა ყველა მხარეს უნდა მისცეს მტკიცებულებების და არგუმენტების წარმოდგენის თანაბარი შესაძლებლობა;

3. თუ მხარე სათანადო შეტყობინების მიუხედავად არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა განაგრძოს მხოლოდ მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ მხარეს ნამდვილად გაეგზავნა შეტყობინება საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების შესახებ;

4. არბიტრს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დავის მორიგებით დასრულება, მედიაცია ან დავის გადაწყვეტა სხვა მექანიზმის გამოყენებით, მაგრამ ეს არ უნდა განხორციელდეს რომელიმე მხარეზე ზეწოლით. არბიტრი არ უნდა ესწრებოდეს და არც სხვაგვარად მონაწილეობდეს მხარეთა

მორიგების პროცესში, ასევე არ უნდა იყოს მედიატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთავაზებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმთან დაკავშირებული ყველა რისკის სრულად გაცნობის შემდეგ ყველა მხარე თანხმდება წერილობით ამის შესახებ.

5. ერთზე მეტი არბიტრის დანიშვნის შემთხვევაში არბიტრები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით.

პრინციპი V. არბიტრმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად და გააზრებულად

1. არბიტრი ვალდებულია, მისთვის წარდგენილ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვიტილება მიიღოს გულმოდგინე განსჯის შედეგად. არბიტრმა არ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომლის გადაწყვეტის მოთხოვნაც მხარეებს არ დაუყენებიათ.

2. არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყვიტოს გარეშე ფაქტორების ზეგავლენის გარეშე.

3. არბიტრს არა აქვს უფლება დავის განხილვასთან დაკავშირებული თავისი უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირს.

4. თუ ყველა მხარე თანახმაა დავის მორიგებით დასრულებაზე და არბიტრს სთხოვენ ასახოს დავის მორიგებით დასრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, ის ვალდებულია ასე მოიქცეს, თუ ფიქრობს, რომ მორიგების პირობები სწორად ასახავს მხარეთა ნებას და არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

პრინციპი VI. არბიტრი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში

1. არბიტრი სარგებლობს მხარეთა ნდობით და საარბიტრაჟო განხილვისა და მისი დასრულების შემდეგ არც ერთ ეტაპზე არ აქვს უფლება გამოიყენოს საარბიტრაჟო განხილვის დროს მისთვის გამჟღავნებული კონფიდენციალური ინფორმაცია პირადი ან სხვა პირთა მიზნებისთვის ან სხვა პირთა ინტერესების საწინააღმდეგოდ.

2. არბიტრი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს საარბიტრაჟო განხილვასა და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. არბიტრს შეუძლია გამოიყენოს იურისტის ან ასისტენტის დახმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრი აცნობებს მხარეებს ამგვარი დახმარების მიღების შესახებ და დამხმარე პირები თანახმა იქნებიან, რომ დაემორჩილონ ამ პრინციპით დადგენილ მოთხოვნებს.

3. არბიტრს არა აქვს უფლება წინასწარ გაანდოს მხარეებს ან მესამე პირებს სარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი, ვიდრე ამის შესახებ მხარეებს ოფიციალურად არ ეცნობებათ. ერთზე მეტი არბიტრის მიერ დავის განხილვის შემთხვევაში, არბიტრი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს სხვა არბიტრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, არბიტრმა არ უნდა გასწიოს დახმარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ან გასაჩივრების პროცესში.

პრინციპი VII. **არბიტრმა ჰონორარი და არბიტრაჟთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განსაზღვროს გონივრულად და კეთილსინდისიერად**

1. არბიტრი, რომელსაც უნდა აუნაზღაურდეს თავისი შრომა ან უნდა მოხდეს ხარჯების კომპენსაცია, უნდა იყოს სამართლიანი ამ ხარჯების და კომპენაციის დადგენისას.

2. არბიტრი ვალდებულია თავიდან აიცილოს გაუმართლებელი ხარჯები და დროის გაჭიანურება.

3. არბიტრებისთვის ანაზღაურების გადახდასთან დაკავშირებული პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

   ა) სანამ არბიტრი საბოლოოდ განაცხადებს თანხმობას არბიტრად დანიშვნაზე, დადგენილ უნდა იქნეს: ანაზღაურების და სხვადასხვა ხარჯების კომპენსაციის ოდენობა, როგორიცაა კომპენსაცია გადადგომის შემთხვევაში, ჩატარებული კვლევის და დახარჯული დროის კომპენსაცია და სხვა ხარჯები.

   ბ) თუ დავის განხილვა ხორციელდება საარბიტრაჟო დაწესებულების საშუალებით, მაშინ არბიტრის ანაზღაურების საკითხი წყდება ამ დაწესებულების მეშვეობით. თუ დავის განხილვა ხდება ასეთი დაწესებულების გარეშე, ან/და დავის მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებული დავის განხილვის პროცედურებით არ არის განსაზღვრული არბიტრების ანაზღაურების საკითხი, მაშინ არბიტრის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს დავის მონაწილე ყველა მხარის თანდასწრებით.

   გ) არბიტრმა არ უნდა მოითხოვოს კომპენსაციის ოდენობის გაზრდა საარბიტრაჟო განხილვის განმავლობაში, გარდა განსაკურებული შემთხვევებისა.

პრინციპი VIII. არბიტრს შეუძლია ჩაერთოს საარბიტრაჟო მომსახურების კეთილსინდისიერ პოპულარიზაცისა და რეკლამირებაში

1. არბიტრის მიერ განხორციელებული რეკლამა უნდა იყოს ზუსტი და არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი. ნებისმიერი განცხადება, არბიტრის ან საარბიტრაჟო ინსტიტუტის საქმიანობის ხარისხ-

ზე ან წარმატებულ პრაქტიკაზე უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს.

2. რეკლამირება და პოპულარიზაცია არ უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ არბიტრად დანიშვნა მიღებული იქნება ამ კოდექსის წესების საწინააღმდეგოდ.

დებულება

არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო და ფარგლები

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის (შემდგომში -„ასოციაციის“) წევრების (შემდგომში -„არბიტრების“) მიერ საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - „კოდექსის“) მოთხოვნათა დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს და დისციპლინური საქმისწარმოების წესს. დებულება ასევე ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც თავიანთ საარბიტრაჟო საქმიანობას, ასოციაციასთან შეთანხმებით, უქვემდებარებენ კოდექსს უშუალოდ ან საარბიტრაჟო დაწესებულების მეშვეობით.

მუხლი 2. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა

კოდექსის მოთხოვნის დარღვევისთვის არბიტრს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ გასულია 3 წელზე მეტი განსახილველი დისციპლინური დარღვევის ჩადენიდან დისციპლინური წარმოების დაწყებამდე. თუ დარღვევა განგრძობადია, ვადა აითვლება მისი დასრულების მომენტიდან.

მუხლი 3. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი პრინციპები

1. ყოველი დარღვევისთვის არბიტრის მიმართ შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომის გამოყენება.

2. რამდენიმე დარღვევის ერთად განხილვისას გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთი ზომა.

3. დაუშვებელია უკვე განხილულ საქმეზე არბიტრის მიმართ იმავე საფუძვლით დისციპლინური საქმის აღძვრა.

მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შერჩევის პრინციპები

არბიტრისთვის სანქციის დაკისრებისას დისციპლინური კომისია (შემდგომში - „კომისია“) ხელმძღვანელობს პროპორციულობის, ინდივიდუალიზაციისა და თანასწორობის პრინციპებით. კომისია, სხვა გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს დისციპლინური დარღვევის შინაარსსა და სიმძიმეს, დარღვევების რაოდენობას, დამდგარ ზიანს, მანამდე არსებულ დარღვევებს, არბიტრის დამოკიდებულებას დარღვევის მიმართ და მის შემდგომ მოქმედებებს დამდგარი ზიანის შესამცირებლად.

მუხლი 5. დისციპლინური საქმისწარმოების ეტაპები

დისციპლინური საქმისწარმოება შედგება მოკვლევისა და განხილვის ეტაპებისგან. მოკვლევის ეტაპზე არბიტრის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა წინაპირობაა საქმის განხილვის ეტაპზე გადასაცემად.

მუხლი 6. დისციპლინური საქმისწარმოების კონფიდენციალურობა

1. დისციპლინური საქმისწარმოების ყველა ეტაპი კონფიდენციალურია. კომისიის წევრებმა არ უნდა გაასაჯაროონ ინფორმაცია საქმის გარმოებათა შესახებ და უნდა დაიცვან თათბირის საიდუმლოება.

2. დისციპლინური საქმისწარმოების დასრულების შემდეგ კომისიის გადაწყვეტილება, გარდა სანქციად კონფიდენციალური რეკომენდაციის გამოყენების შემთხვევისა, ქვეყნდება საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ვებგვერდზე კომისიის გადაწყვეტილების არბიტრისთვის ჩაბარებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ. . გამოქვეყნებული ინფორმაცია ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული იქნება დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე.

3. კომისიამ გადაწყვეტილება უნდა გამოაქვეყნოს იმ მოცულობით, რომ არ დაირღვეს რომელიმე საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობა.

თავი 2. საქმის მოკვლევა

მუხლი 7. მომკვლევი

1. არბიტრის მიმართ დისციპლინურ მოკვლევას ამ თავით გათვალისწინებული წესით ახორციელებს მომკვლევი.

2. მომკვლევის შერჩევას და მასთან ხელშეკრულების გაფორმებას ახორციელებს მმართველი საბჭო.

3. მომკვლევი შეიძლება იყოს პირი 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილება. ის შეიძლება არ იყოს ასოციაციის წევრი. მომკვლევი არ შეიძლება იყოს მმართველი საბჭოს ან დისციპლინური კომისიის წევრი.

4. ასოციაცია აფორმებს ხელშეკრულებას მომკვლევთან კონკრეტულ საქმეზე ან გარკვეული ვადით. მომკვლევის ვადამდე გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ მმართველი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

5. მომკვლევი ანგარიშვალდებულია მმართველი საბჭოს წინაშე.

6. მმართველი საბჭო მოკვლეულ საქმეებზე ანგარიშს მომკვლევის ინფორმაციის საფუძველზე აბარებს საერთო კრებას ყოველწლიურად. ანგარიშში ასევე უნდა მიეთითოს ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომკვლევის საქმიდან აცილების, ასევე მომკვლევის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლების შესახებ.

მუხლი 8. მოკვლევის დაწყება

1. მოკვლევის დაწყების საფუძვლებია:

   ა) პირის განცხადება არბიტრის მიერ დისციპ-ლინური დარღვევის სავარაუდო ჩადენის თა-ობაზე, გარდა ანონიმური განცხადებისა;

   ბ) საჯაროდ გავრცელებული ან სხვაგვარად მი-ღებული ინფორმაცია არბიტრის მიერ დის-ციპლინური დარღვევის სავარაუდო ჩადენის თაობაზე.

2. განცხადების წარდგენის შემთხვევაში მომკვლევი შეისწავლის წარმოდგენილ ან მოპოვებულ მტკი-ცებულებებს და იღებს გადაწყვეტილებას არბიტ-რის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან არაღძვრის თაობაზე.

3. თუ მომკვლევი მიიჩნევს, რომ საჯაროდ გავრცე-ლებული ან სხვაგვარად მიღებული ინფორმაცია არბიტრის მიმართ მოკვლევის დაწყების საფუძ-ველია, ის იწყებს მოკვლევას, რაზეც წერილობით აცნობებს კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 9. მომკვლევის აცილება

მომკვლევის მიმართ ამ დებულების მე-16 მუხლით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა არის მი-სი აცილებისა და მომკვლევად სხვა პირის გამწესე-ბის საფუძველი. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის თავმჯდომარე მხარის შუამდ-გომლობის ან მომკვლევის თვითაცილების საფუძ-ველზე.

მუხლი 10. მოკვლევის განხორციელება

1. საქმის მოკვლევის მიზნით მომკვლევი უფლებამოსილია:

   ა) გამოკითხოს განცხადების წარმდგენი პირი და შესთავაზოს მას მტკიცებულებათა მიწოდება;

   ბ) დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები;

   გ) გამოკითხოს მოწმეები, მათ შორის, არბიტრაჟის სხვა წევრები ან დამხმარე პერსონალი;

   დ) გამოკითხოს არბიტრი, რომელთან დაკავშირებითაც წარმოებს მოკვლევა.

2. მომკვლევი აღრიცხავს და საქმეში დებს მის მიერ წარმოებული საქმის მასალებს (მტკიცებულებებს და გამოკითხვების ოქმებს ან/და აუდიო ჩანაწერებს).

მუხლი 11. საქმეთა გაერთიანება

ერთი და იმავე არბიტრის წინააღმდეგ რამდენიმე განცხადების წარდგენის შემთხვევაში დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ისინი ერთ წარმოებად გააერთიანოს.

მუხლი 12. მოკვლევის ვადა

დისციპლინური საქმის მოკვლევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. მომკვლევს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა არაუმეტეს იმავე ვადით. ვადის გაგრძელების შესახებ მომკვლევის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 13. მოკვლევის შედეგი

1. არბიტრის მიმართ დისციპლინური დევნა აღიძვრება, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებები და მტკიცებულებები წარმოშობს დასაბუთებულ

ვარაუდს არბიტრის მიერ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევაზე.

2. წინა პუნქტში განსაზღვრული პირობების არარსებობის შემთხვევაში დევნა არ აღიძვრება და საქმის მოკვლევა წყდება.

მუხლი 14. დისციპლინური დევნის დასაბუთებულობა

მომკვლევის მიერ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოკვლევის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და ხელმოწერილი.

თავი 3. დისციპლინური განხილვა

მუხლი 15. საქმის განხილვის დაწყება

1. დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილების მიღებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში მომკვლევი საქმეს გადასცემს დისციპლინურ კომისიას.

2. დისციპლინური კომისია დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ აცნობებს არბიტრს და აწვდის დისციპლინური დევნის დაწყების გადაწყვეტილებას და საქმის სხვა მასალებს.

მუხლი 16. დისციპლინურ განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. დისციპლინურ განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს კომისიის წევრი, თუ:

   ა) განცხადების ავტორია;

   ბ) დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე პირის ახლო ნათესავია. ამ დებულების მიზნებისთვის ახლო ნათესავად მიიჩნევა კანონისმიერი მემკვიდრე;

გ) სახელშეკრულებო ურთიერთობაშია არბიტრთან, რომლის მიმართაც აღძრულია დისციპლინური დევნა;

დ) სხვა გარემოებათა გამო არსებობს დასაბუთებული ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

2. კომისიის წევრი ვალდებულია თვითაცილება განაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით აღნიშნული რომელიმე გარემოების არსებობისას.

3. აცილების შესახებ განცხადებას განიხილავს კომისია და გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

4. აცილების საკითხის განხილვისას კომისიის ის წევრი, რომლის მიმართაც დასმულია აცილების შუამდგომლობა, არ მონაწილეობს კენჭისყრაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აცილება დასმულია კომისიის წევრთა ნახევარზე მეტის მიმართ

მუხლი 17. დისციპლინური განხილვის გადაწყვეტილების მიღების ვადა

დისციპლინურმა კომისიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილებით ეს ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 2 თვით.

მუხლი 18. შეტყობინებების გაგზავნის წესი

1. არბიტრს ეცნობება დისციპლინური კომისიის სხდომის დრო და ადგილი. არბიტრს შეტყობინება უნდა ჩაბარდეს სხდომამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.

2. არბიტრისა და დისციპლინური წარმოების მონაწილე სხვა პირების დაბარება შესაძლე-

ბელია ფოსტით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, რომელიც იძლევა კომუნიკაციის განხორციელების მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობას.

3. შეტყობინება არბიტრს ბარდება საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მონაცემთა ბაზაში არსებულ არბიტრის მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან ტელეფონზე. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც არბიტრი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე.

მუხლი 19. დისციპლინური განხილვის მხარეები

1. დისციპლინური განხილვის მხარეები არიან საქართველოს არბიტრთა ასოციაცია და არბიტრი, რომლის მიმართაც აღძრულია დევნა.

2. საქართველოს არბიტრთა ასოციაციას დისციპლინურ განხილვაში წარმოადგენს მომკვლევი.

მუხლი 20. დისციპლინური წარმოების განხილვის ფორმა

1. დისციპლინური განხილვა ტარდება მხარეთა ზეპირი მოსმენით. არბიტრის შუამდგომლობით შესაძლებელია განხილვა ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

2. დისციპლინური კომისია იღებს ზომებს საქმის ზეპირი განხილვისთვის მოსამზადებლად; ამისათვის მხარეებს განუსაზღვრავს პოზიციების და მტკიცებულებების წარმოსადგენად ვადებს და განსაზღვრავს სხვა საპროცესო საკითხებს.

მუხლი 21. დისციპლინური განხილვის პრინციპები

დისციპლინური განხილვა წარიმართება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 22. მხარეთა უფლებები

დისციპლინური განხილვისას მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებსა და ექსპერტებს, განაცხადონ შუამდგომლობები, წარადგინონ ზეპირი და წერილობითი განმარტებები, გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, მათ შორის, იმ საკითხებზე, რომლებზეც დისციპლინური კომისია მიუთითებს, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები და მოსაზრებები და ისარგებლონ ამ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 23. დისციპლინური კომისიის სხდომა

1. დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს დისციპლინური კომისიის შემადგენლობას და განსახილველ დისციპლინურ საქმეს.

2. დისციპლინური კომისიის თამჯდომარეს შეუძლია მისი არყოფნის ან სხვა მიზეზის გამო სხდომის ხელმძღვანელობა გადასცეს კომისიის სხვა წევრს, რაც მოიცავს საქმის განხილვასთან და მასზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული თავმჯდომარის უფლებამოსილების გადაცემას.

3. დისციპლინური კომისიის წევრებს ეცნობება სხდომაზე გამოცხადებულ პირთა ვინაობა. თუ მხარე არ გამოცხადდა სხდომაზე, კომისია განიხილავს მხარის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს კომისიის წევრის აცილების, შუამდგომლობებისა და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის უფლებას.

5. დისციპლინური კომისია მოისმენს მხარეთა პოზიციებს და მათ პასუხებს დისციპლინური კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე.

6. მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, დისციპლინური კომისია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეამოწმებს სადავო ფაქტებთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს.

7. საქმეში არსებულ გარემოებათა გამოკვლევის მიზნით დისციპლინური კომისია უსმენს სხდომაზე მოწვეულ მოწმეებსა და ექსპერტებს და მხარეებს აძლევს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალებას.

8. თუ მხარის მიერ დასმული შეკითხვა შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებათა გამოკვლევას, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია მოხსნას ის თავისი ინიციატივით ან მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

9. დისციპლინური კომისიის სხდომის ბოლოს მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით, დასასრულს შემაჯამებელ სიტყვას წარმოთქვამს არბიტრი, რის შემდეგაც ზეპირი მოსმენა დასრულებულად ცხადდება.

10. თუ კომისია სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, დისციპლინური განხილვა ჩაითვლება დასრულებულად დისციპლინური განხილვის სხდომის დასრულებით. განხილვის დასრულების შემდეგ კომისია მხარეთა დამატებით პოზიციებს და მტკიცებულებებს არ მიიღებს.

მუხლი 24. დისციპლინური განხილვის სხდომის ოქმი

1. დისციპლინური განხილვის სხდომის ოქმი იწარმოება აუდიოჩანაწერის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

2. სხდომის ოქმი დაერთვის დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 25. გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება

დისციპლინური კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის მესამედისა. ასოციაციის წევრობის შეჩერების ან ასოციაციიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დისციპლინური კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 26. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება

1. დისციპლინურ კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის სახელით.

2. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან:

   ა) შესავალ ნაწილში აღინიშნება გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება და კომისიის შემადგენლობა, დისციპლინური დევნის აღმძვრელი წევრისა და არბიტრის ვინაობა;

   ბ) გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს დისციპლინური საქმისწარმოების ისტორია, დევნის აღმძვრელის წევრისა და არბიტრის პოზიციები;

   გ) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება ეს დასკვნები, აგრეთვე, ის დებულებები, რომლებითაც იხელმძღვანელა დისციპლინურმა კომისიამ;

დ) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს დასკვნას არბიტრის გამართლების ან მის მიერ კოდექსის დარღვევის შესახებ. დარღვევის დადგენის შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება არბიტრისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

3. განხილვის მონაწილე დისციპლინური კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კომისიის გადაწყვეტილებას. კომისიის რომელიმე წევრის მიერ გადაწყვეტილებაზე ხელმოწერისაგან თავის შეკავება ასევე მიეთითება გადაწყვეტილებაში. წევრის განსხვავებული აზრი დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 27. დისციპლინური წარმოების ხარჯები

საქართველოს არბიტრთა ასოციაცია ფარავს დისციპლინური წარმოების ხარჯებს, გარდა არბიტრის ინიციატივით ადვოკატის, თარჯიმნის, სპეციალისტისა და მოწმის მოწვევასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯებისა, რომლებსაც ფარავს არბიტრი.

მუხლი 28. გადაწყვეტილების გაგზავნა არბიტრისთვის

კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს დაგაეგზავნოს მხარეებს კომისიის მიერ განხილვის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 29. დისციპლინური წარმოების შეჩერება

1. დისციპლინურ კომისიას უფლება აქვს შეაჩეროს დისციპლინური განხილვა, თუ:

   ა) წარმოიშვა ობიექტური სირთულე, რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება;

ბ) იმავე არბიტრის მიმართ დისციპლინური კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომლის განხილვის შედეგმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომისიის გადაწყვეტილებაზე.

2. დისციპლინური წარმოების შეჩერების ვადა არ ჩაითვლება ამ დებულებით განსაზღვრულ დისციპლინური წარმოების ვადებში.

3. იმ შემთხვევაში, თუ არბიტრს დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ შეუწყდება საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება დასრულდება, ხოლო სანქციის აღსრულება გადავადდება არბიტრის მიერ წევრობის აღდგენამდე.

4. იმ შემთხვევაში, თუ არბიტრი დისციპლინური წარმოების დაწყებისას ან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის ასოციაციის წევრი, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გამოქვეყნებას ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილება გათვალისწინებული იქნება არბიტრის მიერ ასოციაციის წევრობის სურვილის შემთხვევაში განაცხადის განხილვისას.

მუხლი 30. დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

1. დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ განცხადების შეტანის თარიღამდე გასული იყო ამ დებულებით დადგენილი ვადა ან არსებობს წარმოების შეწყვეტის სხვა კანონისმიერი საფუძველი. დისციპლინური წარმოების შეწყვეტაზე დასაბუთებულად შუამდგომლობს მომკვლევი.

2. განცხადების ავტორის უარი განცხადებაზე არ არის დისციპლინური დევნის შეწყვეტის საფუძველი.

თავი 4. დისციპლინური სანქციები

მუხლი 31. ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის დადგენილი სანქციები

კოდექსის დარღვევის შემთხვევაში არბიტრის მიმართ გამოიყენება შემდეგი სანქციები:

ა) კონფიდენციალური რეკომენდაცია;

ბ) საჯარო გაფრთხილება;

გ) წევრობის შეჩერება 3 წლამდე ვადით;

დ) ასოციაციიდან გარიცხვა 3 წლის შემდეგ ხელახლა მიმართვის უფლებით;

ე) ასოციაციიდან გარიცხვა ხელახლა მიმართვის უფლების გარეშე.

მუხლი 32. დისციპლინური სანქციის გაქარწყლება

ამ დებულების 31-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციები გაქარწყლდება სანქციის დაკისრებიდან 1 წლის თავზე, ხოლო „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სანქციები - წევრობის აღდგენიდან 2 წლის შემდეგ. გაქარწყლების შემდეგ არბიტრის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური დარღვევის გამო დისციპლინური სანქციის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სანქცია.

თავი 5. გასაჩივრებისა და აღსრულების წესი

მუხლი 33. არბიტრის გამამართლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

არბიტრის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი

გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 34. არბიტრის გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება არბიტრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 35. გადაწყვეტილების აღსრულება

დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებას, თუ ის ითვალისწინებს საჯარო გაფრთხილებას, ასოციაციის წევრობის შეჩერებას ან ასოციაციიდან გარიცხვას, აღასრულებს ასოციაციის მმართველი საბჭო გადაწყვეტილების არბიტრისთვის ჩაბარებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ.

თავი 6. დასკვნითი დებულებები

მუხლი 36. დებულების გამოქვეყნება

დებულება მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ვებგვერდზე.

მუხლი 37. დებულების ამოქმედება

1. დებულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

2. 2019 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს წინამდებარე დებულების ამოქმედებამდე მოქმედი დებულება.